

„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“

2016 წ. 2 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრს“ შორის, პროგრამას – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ - უხელმძღვანელებს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათან ერთად. ხოლო ფინანსურ აუდიტს წლის ბოლოს ჩაატარებს სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრი“.

პროგრამა მიზნად ისახავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან ინსტიტუციონალური ურთიერთობების დამყარებას, ახალგაზრდობის სფეროში კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის ჩამოყალიბებას, "მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობას, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაციას.

2016წ. ახალგაზრდა ელჩები /კონკურსის საფუძველზე/ დაინიშნენ შემდეგ რვა ქვეყანაში:

1. აშშ – ანა ლეჟავა;
2. ბელგიის სამეფო – იანა მაისურაძე;
3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – ცისია ნინიკელაშვილი;
4. თურქეთი რესპუბლიკა – სოფიო წკრიალაშვილი;
5. ნიდერლანდების სამეფო – თამარ ჟუჟუნაძე;
6. პოლონეთის რესპუბლიკა – ქეთევან ფრანგულიაშვილი;
7. საფრანგეთის რესპუბლიკა – ქეთი არჩაია;
8. შვედეთის სამეფო – ნათია ლორთქიფანიძე;

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს საელჩოებთან ერთად, ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ელჩებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში განახორციელონ მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებები დიასპორულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმატებებს უსურვებს ახალგაზრდა ელჩებს!

საქართველოს ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი

საქართველოს ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი მიმდინარე წლის 23 მაისს, სასტუმრო "ჰოლიდი ინში" გაიმართა.

საქართველოს ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალის ფინანსური მხარდამჭერი იყო - საერთაშორისო მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ცენტრი (ICMPD).

ამბასადორიალზე, საზღვარგარეთის რვა ქვეყანაში დანიშნულმა საქართველოს ახალგაზრდა ელჩებმა წარმოადგინეს ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყნებში ახალგაზრდობის სფეროში მიმდინარე პროექტებისა და იქ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების საქმიანობის შესახებ, მათ მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების, საკუთარი ინიციატივებისა და წლის სამოქმედო გეგმა; დასასრულს მოხდა მათი სერტიფიკატებით დაჯილდოება.

მეორე დღეს, 24 მაისს, საქართველოს ახალგაზრდა ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნოპარკში დაგეგმილ სემინარებსა და შეხვედრებში. ასევე ჰქონდათ შეხვედრა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სახელმწიფო მინისტრთან გელა დუმბაძესთან.

ყველა ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

პროექტის ინიცირების ისტორია

პროექტი „ახალგაზრდა ელჩები“ ინიცირებულ იქნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ 2014 წელს და გახორციელდა 2015 წელს, საქართველოს საგარეო საქმეთა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად 10 ქვეყანაში.

„ახალგაზრდა ელჩები 2015“

1. ამერიკის შეერთებული შტატები - იოსებ ჟორჟოლიანი;
2. ავსტრია - სალომე სალაძე;
3. გერმანია - მიხეილ სარჯველაძე;

4. დიდი ბრიტანეთი - გიორგი ლომიძე;
5. თურქეთი - თეონა ვარშალომიძე;
6. ლიტვა - სანდრო ვეკუა;
7. პოლონეთი - ქეთევან ფრანგულიაშვილი;
8. საფრანგეთი - ლია ჭიპაშვილი;
9. უკრაინა - მიხეილ გეგეჭკორი;
10. ჩეხეთი - ლაშა ნავერიანი.

ამბასადორიალი ჩატარდა თბილისში, დეკემბერში.

გამარჯვებულ კანდიდატებს მათ მიერ შედგენილი პროგრამის განსახორციელებლად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ გრანტების სახით - 5.000 ლარი.

2015 წელს, აღნიშნული პროგრამა გადაეცა სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრს“.

„ცენტრის“ ხელმძღვანელობით ჩატარდა კონკურსი 2016 წლისთვის. კონკურსის მისაღებ კომისიას დაემატა განათლების საერთაშორისო ცენტრისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. /გრანტები გაიზარდა 2.000 ლარით - 7.000 ლარი, თითოეულს/. 2016 წ. „ახალგაზრდა ელჩების“ ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს უზრუნველყოფს სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრი“.

საქართველოს ახალგაზრდა ელჩების /2016/ პროგრამის მიზნების შესახებ

„საქართველოს ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამის საშუალებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, შესაძლებლობა მიეცემათ ერთწლიანი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მოახდინონ მათი თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ.

„ახალგაზრდა ელჩების“ მთავარი ამოცანა არის იმ კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანს საქართველოს პოპულარიზაცია წარმოადგენს.

პროექტში მონაწილე ახალგაზრდები ჩამოაყალიბებენ საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელს.

აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს მიეცემა საშუალება მჭიდრო კავშირი დაამყარონ ქართული დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლებთან და უფრო მეტად შეუწყოს მათ ხელი კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს „ახალგაზრდა ელჩების“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში

- საქართველოს პოპულარიზაცია;
- საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის შექმნა;
- ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა;
- საჯარო სამსახურისათვის პერსპექტიული კადრების წარმოჩენა;

პროგრამის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „ახალგაზრდა ელჩების“ შესარჩევა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემდეგ 8 ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, პოლონეთი, თურქეთი, ბელგიის სამეფო, ნიდერლანდების სამეფო და შვედეთი.

კონკურსის შედეგად შერჩეული „ახალგაზრდა ელჩების“ მონაწილეობით საქართველოში გაიმართება ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი, რომლის ფარგლებშიც „ახალგაზრდა ელჩები“ წარმოადგენენ საკუთარ ინიციატივებსა და ერთი წლის სამოქმედო გეგმას. ასევე,

შეხვედებიან კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის, დიპლომატიური და სხვა სექტორების წარმომადგენლებს.

პროგრამის კონკურსში მონაწილეობის თანაბარი უფლების შესახებ

საზღვარგარეთ მცხოვრებ 18-დან 29-წლამდე საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლება ისარგებლოს „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში დისკრიმინაციის გარეშე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადების ადგილისა ან სხვა ნიშნისა ამ პროგრამით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

განაცხადით მომართვის პროცესისა და საკონკურსო ვადების შესახებ

„საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ კონკურსის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის ვადა 10 ნოემბრიდან - 22 ნოემბრის ჩათვლით (თბილისის დროით 19:00 სთ), 2015.

დაინტერესებულ პირები განაცხადს და შესაბამის დოკუმენტაციას წარმოადგენენ ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით <https://app.iec.gov.ge/> დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: youngambassadors@iec.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ ნომერზე: +995 595 703 175.

ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა კონკურსსანტს საშუალებას აძლევს განაცხადი ეტაპობრივად შეავსოს ან/და შეცვალოს საკონკურსო ვადის ამოწურვამდე. განაცხადი და შესაბამის დოკუმენტაცია 22 ნოემბრის ჩათვლით (თბილისის დროით 19:00 სთ) უნდა აიტვირთოს სარეგისტრაციო ფორმაში.

საკონკურსო ვადის ამოწურვისთანავე ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა იხურება და კონკურსსანტი ვეღარ შეძლებს რედაქტირებას.

განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად და სრულყოფილად წარმოდგენის კონტროლი კონკურსანტის ვალდებულებაა. განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება (!)

საკონკურსო მოთხოვნების შესახებ

საკონკურსო პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 18-დან 29-წლამდე ახალგაზრდას, რომელიც

o არის საქართველოს მოქალაქე, ცხოვრობს საზღვარგარეთ და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას;

o აქვს ახალგაზრდულ სფეროში მუშაობის გამოცდილება;

o აქვს პროექტების მართვის გამოცდილება;

o სასურველია სქონდეს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოქმედ დიასპორულ ორგანიზაციებთან

ურთიერთობის გამოცდილება;

o სასურველია ჰქონდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის საჯარო ან კერძო სტრუქტურაში მუშაობის/სტაჟირების/პრაქტიკის გამოცდილება;

o სასურველია ადგილსამყოფელი ქვეყნის ოფიციალურ ენის ცოდნა;

წარმოსადგენი დოკუმენტები

o შევსებული ელექტრონული განაცხადი (პირადი ინფორმაცია, სამოქმედო გეგმა, სამოტივაციო

წერილი);

o ფოტოსურათი;

o CV ქართულ ენაზე;

o საქართველოს პასპორტის ქსერო ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

o საზღვარგარეთ ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთი (სასწავლო ვიზა, ცხოვრების

ნებართვა);

o ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

o ცნობა მუშაობის უფლების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

o რეკომენდაციები, სერტიფიკატები, დიპლომები და სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

o სამოტივაციო წერილი

კონკურსანტის შერჩევის პროცესის შესახებ

კონკურსანტების შერჩევა სამ საფეხურიან მერიტორიულ პროცესს გულისხმობს, სადაც პირველი საფეხური - განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას ითვალისწინებს. ადმინისტრაციული (ფორმალური) შემოწმებისას დგინდება განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა.

ადმინისტრაციულ (ფორმალური) შემოწმებას ახორციელებს განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაცია.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაცია სრულყოფილია და ფორმალურად აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, კონკურსანტი გადადის შერჩევის მეორე საფეხურზე.

მეორე საფეხური - განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის კომისიის მიერ ხარისხობრივ (შინაარსობრივი) შეფასებას ითვალისწინებს. შეფასება კონკრეტული კონკურსისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ხდება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა სამოტივაციო წერილს, სამოქმედო გეგმის პროექტს და ა.შ.

შეფასება ქულობრივი სისტემით ხდება. კომისია გამსვლელი ქულების რაოდენობას განსაზღვრავს კონკურსის მასშტაბის გათვალისწინებით. ქულების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში კონკურსანტი მესამე საფეხურზე გადადის.

მესამე საფეხური - კომისიასთან გასაუბრება.

* იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი იმყოფება საზღვარგარეთ გასაუბრება ჩატარდება სკაიპის საშუალებით.

კომისიის შესახებ

„ახალგაზრდა ელჩებს“ სპეციალურად შექმნილი კომისია შეარჩევს.

კომისია დამტკიცებულია სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 13 ნოემბრის № 16-15 ბრძანებით. კომისია დაკომპლექტებულია

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

დაფინანსების შეხახებ

შერჩეულ კანდიდატს დაფინანსება გამოეყოფა მაქსიმუმ 7000 ლარამდე.

სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრსა და შერჩეულ კანდიდატს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად გამოეყოფათ თანხა 7000 ლარის ოდენობით.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი შერჩეულ ქვეყნებში, საქართველოს საელჩოებთან ერთად უზრუნველყოფს, „ახალგაზრდა ელჩის“ საქმიანობის მონიტორინგს.